

გაერთიანებული სამეფო

ლორდი კანცლერისა და ლორდი მთავარი მოსამართლის გადაწყვეტილებები მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე¹

(2012-2015)

საქმის ნომერი	გადაწყვეტილების თარიღი	დარღვევის ფაბულა	გამოყენებული სახდელი
JCIO 24/15	11.05.2015	მოსამართლემ გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და აღსრულების ბიუროს მიწერა წერილი იმ ინდივიდის სასარგებლოდ, რომელსაც არ ჰქონდა ჯარიმა გადახდილი. მოგვიანებით მოსამართლემ ისე განიხილა ეს კონკრეტული საქმე, რომ არ აცნობა თავის კოლეგებს აცილების ამ საფუძვლის თაობაზე	ფორმალური გაფრთხილება
JCIO 20/15	19.04.2015	მოსამართლემ კანონით დადგენილ ვადაში არ ჩააბარა მხარეს გადაწყვეტილება. მას მსგავსი გადაცდომები, ასევე, ჩადენილი ჰქონდა წარსულში	ფორმალური გაფრთხილება
JCIO 19/15	19.03.2015	მოსამართლეს მოუვიდა შეკამათება რესტორნის მეპატრონესთან და შეეცადა თავისი სამოსამართლო მდგომარეობის გამოყენებას მის შესაშინებლად	12 თვით შეუზღერდა უფლებამოსილება
JCIO 18/15	17.03.2015	3 მოსამართლე თავისი სამსახურებრივი კომპიუტერის გამოყენებით ინტერნეტში ეცნობოდა პორნოგრაფიული შინაარსის შემცველ მასალებს	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO 17/15	16.03.2015	მოსამართლე შევიდა სასამართლოს დარბაზში, სადაც სააპელაციო წესით იხილებოდა მის მიერ განხილული საქმე და მიესალმა ბრალდების მოწმეს	ფორმალური რეკომენდაცია

¹ გადაწყვეტილებათა მოკლე ფაბულები აღებულია ვებგვერდიდან - <http://judicialconduct.judiciary.gov.uk/disciplinary-statements-2012.htm>; შედგენაზე პასუხისმგებელი პირი - კახა წიქარიშვილი, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრი.

JCIO 16/15	16.03.2015	მსაჯული სისტემატურად აცხადებდა უარს მონაწილეობა კოლეგიის მიერ საქმის განხილვაში	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO 15/15	09.03.2015	მოსამართლემ, რომელიც იყო მოსამართლეთა დანიშვნის კომისიის წევრი გამოიჩინა თავაზიანობის ნაკლებობა კანდიდატის მიმართ და გასაუბრების დროს მოიქცა არაპროფესიონალურად	ფორმალური გაფრთხილება
JCIO14/15	09.03.2015	მოსამართლემ სათათბირო ოთახში ჩაიდინა უწესო ქცევა, გამოიყენა უცენზურო სიტყვები და მუქარა	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO13/15	09.03.2015	მოსამართლემ საკუთარ სასამართლოს არ აცნობა გადასახადის გადაუხდელობის გამო მის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი პროცესის თაობაზე	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO11/15	16.03.2015	მოსამართლემ გასაიდუმლოებული სასამართლო დოკუმენტაცია ose შეინახა სახლში, რომ შექმნა აღნიშნული დოკუმენტაციის გარეშე პირების ხელში მოხვედრის რისკი	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO09/15	13.02.2015	მოსამართლემ საქმის განხილვის დროს არაჯეროვნად მიმართა სასამართლო მოხელეებს	ფორმალური რეკომენდაცია
JCIO08/15	09.02.2015	მოსამართლემ სასამართლო დარბაზში და სათათბირო ოთახში არაჯეროვნად მიმართა საკუთარ კოლეგებს	საყვედური
JCIO06/15	04.02.2015	მოსამართლემ სიჩქარის გადაჭარბების სახით 4-ჯერ ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და 6 თვით ჩამოერთვა მართვის მოწმობა	საყვედური
JCIO05/15	04.02.2015	მოსამართლეს ჩაედინა პროცესზე	საყვედური
JCIO02/15	16.01.2015	მოსამართლე რეგულარულად არ ცხადდებოდა სხდომებზე და არ უკავშირდებოდა თავის სასამართლოს	თანამდებობიდან გათავისუფლება

JCIO81/14	30.12.2014	მოსამართლემ გამოავლინა, რომ საქმის გადაწყვეტის დროს ის იმყოფებოდა საკუთარი რელიგიური მრწამსის ზეგავლენის ქვეშ. ჩაითვალა, რომ მოსამართლე თვითაცილების წესით უნდა ჩამოცილებოდა საქმის განხილვას	საყვედური
JCIO80/14	29.12.2014	მოსამართლეთა ასოციაციის შეხვედრის მოსაწვევში მოსამართლემ გამოიყენა შეუფერებელი ფრაზები	ფორმალური რეკომენდაცია
JCIO77/14	23.12.2014	მოსამართლემ სათათბირო ოთახში არაჯეროვნად მიმართა თავის კოლეგებს	ფორმალური რეკომენდაცია
JCIO76/14	22.12.2014	მოსამართლემ მაგისტრატის ხარჯებთან დაკავშირებით წარადგინა არასწორი ფინანსური ანგარიში. მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერება არ დადგინდა და სხვაობა იქნა დაფარული	ფორმალური საყვედური
JCIO75/14	22.12.2014	მოსამართლემ დროულად არ აცნობა ლორდ კანცლერს და ლორდ მთავარ მოსამართლეს სამოქალაქო საქმეში მისი პოტენციური მონაწილეობის თაობაზე	რეკომენდაცია
JCIO73/14	12.12.2014	მოსამართლემ სოციალურ ქსელში ატვირთა საკუთარი სურათი, სადაც ხელში ეჭირა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც უკანონოდ ითვლება გაერთიანებულ სამეფოში. მოსამართლემ აღნიშნული ქმედებით შებღალა სასამართლოს ავტორიტეტი	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO71/14	11.12.2014	მოსამართლე არ გამოცხადდა ტრეინინგებზე და სასამართლო სხდომებზე	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO69/14	10.12.2014	მოსამართლემ კონფიდენციალური საჩივრის დეტალები გაანდო თავის თანამშრომლებს	გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე
JCIO68/14	26.11.2014	მოსამართლემ ბიზნეს გარიგებების წარმოებისას ბოროტად გამოიყენა მაგისტრატის სტატუსი	რეკომენდაცია

JCIO67/14	12.11.2014	მოსამართლე სხდომის დასრულების შემდეგ თავის კოლეგებს დაემუქრა და უსაფუძვლოდ დასდო ბრალი რასიზმში	საყვედური
JCIO66/14	11.11.2014	მოსამართლემ წინასწარი შეცნობით გააკეთა არასწორი ნეგატიური კომენტარი საკუთარი კოლეგის ხასიათთან დაკავშირებით	საყვედური
JCIO65/14	03.11.2014	მოსამართლემ ინტიმური ხასიათის მოქმედებები განახორციელა აპარატის თანამშრომლის მიმართ, შეეხო მის წელს და მკლავს	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO64/14	03.11.2014	მაგისტრატმა ისე დაცალა ნაქირავები ფართი, რომ დარჩენილი ქირა არ გადაუხადა მეპატრონეს, ხოლო ამ დავალიანების შესახებ არ აცნობა სასამართლოს	მაგისტრატურიდან გათავისუფლება
JCIO63/14	31.10.2014	მაგისტრატი უხეშად მოეპყრო თავის კოლეგა მაგისტრატს	რეკომენდაცია
JCIO59/14	17.10.2015	მაგისტრატმა გააკეთა არაჯეროვანი კომენტარი არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმის განხილვასთან დაკავშირებით	საყვედური
JCIO58/14	17.10.2014	მაგისტრატმა მისი კომპეტენციის ორჯერადი შეფასების შედეგად ვერ დააკმაყოფილა კომპეტენციის მინიმალური დონე	მაგისტრატურიდან გათავისუფლება
JCIO57/14	14.10.2014	მოსამართლემ სტატია გამოაქვეყნა ნაციონალურ გაზეთში და ასევე ისაუბრა რადიოში მის განხილვაში მყოფი საქმის დეტალებზე, რომლის იდენტიფიცირებაც შეეძლო ბრალდებულს	გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე
JCIO56/14	10.10.2014	მოსამართლე არაჯეროვნად მოექცა საკუთარ კოლეგას	რეკომენდაცია
JCIO53/14	11.09.2014	მოსამართლემ არ მიიღო სათანადო ზომები საქმის განხილვისას, რამაც გამოიწვია საქმის დაუშვებელი გაჭიანურება	გაფრთხილება
JCIO49/14	06.08.2014	მოსამართლემ (სოლისიტორმა) არ შეატყობინა სასამართლოს, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა დისციპლინური საქმისწარმოება, რის შედეგადაც ის ამორიცხულ იქნა სოლისიტორების სიიდან	თანამდებობიდან გათავისუფლება

JCIO48/14	06.08.2014	მართლმსაჯულების გამრუდების გამო (perverting course of justice) მოსამართლე მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლებრივი წესით	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO45/14	29.07.2014	მაგისტრატმა პრესაში გააკეთა არაჯეროვანი კომენტარები პოლიციასა და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაზე	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO44/14	28.07.2014	მოსამართლემ გააკეთა შეუფერებელი კომენტარები სათათბირო ოთახში	გაფრთხილება
JCIO43/14	17.07.2014	მოსამართლემ საქმის განხილვისას გამოიყენა მობილური ტელეფონი, რამაც გამოიწვია პროცესის ჩაშლა	რეკომენდაცია
JCIO42/14	17.07.2014	მოსამართლე ცნობილი იქნა ვალაუვალად	შეუჩერდა უფლებამოსილება
JCIO36/14	16.05.2014	მაგისტრატი ცნობილ იქნა დამნაშავედ გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევისთვის, რაც დროულად არ აცნობა სასამართლოს	საყვედური და სავალდებულო ტრენინგი
JCIO34/14	09.05.2014	მაგისტრატი არ აკმაყოფილებდა საქმეთა განხილვის და ტრენინგის მინიმალურ მოთხოვნებს	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO33/14	07.05.2014	მაგისტრატმა ბიზნეს გარიგებისას გამოიყენა საკუთარი სამსახურებრივი სტატუსი	გაფრთხილება
JCIO32/14	07.05.2014	მაგისტრატმა არ შეატყობინა სასამართლოს, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა გამოძიება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით	გაფრთხილება
JCIO31/14	06.05.2014	მაგისტრატმა თავისი ქმედებით შექმნა ეჭვი, რომ ის საქმეს მიუკერძოებლად ვერ განიხილავდა	საყვედური
JCIO27/14	29.04.2014	მაგისტრატის მსაჯულთან ურთიერთობა გახდა ნაფიც მსაჯულთა დათხოვნის და ხელახალი მსაჯულების მოწვევის საფუძველი	თანამდებობიდან გათავისუფლება

JCIO25/14	23.04.2014	მოსამართლე გამოცხადდა ვალაუვალად. ლორდმა კანცლერმა და ლორდმა მთავარმა მოსამართლემ მიიჩნიეს, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა არ შეესაბამებოდა მაგისტრატის სტატუსს	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO24/14	25.03.2014	მოსამართლემ არ შეატყობინა სასამართლოს თავმჯდომარეს იმავე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე მისი მოწმედ დაბარების თაობაზე	გაფრთხილება
JCIO57/13	04.12.2013	მოსამართლემ არ აცნობა ლორდ მთავარ მოსამართლეს, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სამოქალაქო სამართალწარმოება და ის ცნობილ იქნა გაკოტრებულად	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO44/13	08.2013	მოსამართლე არ აკმაყოფილებდა საქმეთა განხილვის დადგენილ მაჩვენებელს, ასევე, სათანადო განმარტების გარეშე გააუქმა სხდომები მათ ჩატარებამდე მოკლე დროით ადრე	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO43/13	04.07.2013	მოსამართლემ დაარღვია მიუკერძოებლად საქმის განხილვის ვალდებულება	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO30/13	06.2013	მოსამართლემ დანაშაულთან დაკავშირებით ცრუ ცნობების შემცველი განცხადება წარადგინა პოლიციაში	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO39/12	12.12.2012	მოსამართლემ ისე დანიშნა კორონერის მოადგილე თანამდებობაზე, რომ არ შეუმოწმებია ჰქონდა თუ არა მას შესაბამისი კვალიფიკაცია	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO26/12	10.10.2012	სხდომის თავმჯდომარეობისას მოსამართლემ გააკეთა არაჯეროვანი კომენტარი. ვინაიდან მას ადრეც ჰქონდა ჩადენილი მსგავსი გადაცდომა, გათავისუფლდა თანამდებობიდან	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO23/12	15.08.2012	მოსამართლემ მისი დანიშვნის დროს დამალა გარკვეული ცნობები, ასევე, წარადგინა არასწორი ინფორმაცია მისი კვალიფიკაციის თაობაზე. მოსამართლემ ინტერნეტით არაჯეროვანი კომენტარი გააკეთა მისი, როგორც მოსამართლის როლზე	თანამდებობიდან გათავისუფლება

JCIO05/12	8.02.2012	მოსამართლე სასამართლოში იქნა დაბარებული იმის გამო, რომ ის იყენებდა მობილურ ტელეფონს ავტომანქანის მართვისას, რის შესახებაც არ აცნობა საკონსულტაციო კომიტეტს. მოსამართლე შეეცადა მაგისტრატის სტატუსის გამოყენებას პოლიციასთან ურთიერთობისას	თანამდებობიდან გათავისუფლება
JCIO03/12	02.02.2012	მოსამართლე მსჯავრდებული იქნა ალკოჰოლურ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისთვის	თანამდებობიდან გათავისუფლება